

თინათინ გარნაპე

მარი ბროსეს სამეცნიერო კონტაქტები ქართველ მოღვაწეებთან (პლატონ იოსელიანი)

ქართველი ხალხის მდიდარმა კულტურულ-ისტორიულმა მემკვიდრეობამ, ქართულმა სიძველეებმა მრავალი უცხოელი დააინტერესა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელს მარი ბროსეს უკირავს.

მარი ბროსეს დაინტერესება ქართველი ხალხის სულიერი კულტურით არქიმანდრიტ ეგგენის ნაშრომის „საქართველოს ისტორიული სურათის“ გაცნობით დაიწყო, რომელიც 1819 წ. ჟურნალ „მოგზაურობის ანალებში“ დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე. ეს ინტერესი მას კიდევ უფრო გაუღვივდა ეგგენი ბოლხოვიგინოვის შრომის „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“ წაკითხვისას [4, გვ. 56]. მარი ბროსემ ქართული ენა შეისწავლა და 1831 წ. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ძმისშვილებს პარიზში მშვენიერი ქართულით ესაუბრა. იგი დიდი ინტერესით კითხულობდა ქართულ ხელნაწერებს; იკვლევდა ამიერკავკასიაში მოგზაურთა მიერ შეგროვილ საინტერესო მასალებს საქართველოს შესახებ, ეცნობოდა კერძო პირთა ნუმისმატიკურ კოლექციებს. მარი ბროსეს ხელმძღვანელობით იქნა ჩამოსხმული ქართული შრიფტი. მან გამოაქვეყნა ლეგელიეს მიერ 1826 წ. საქართველოდან ჩამოგანილი „ქართული ისტორიული ქრონიკა“, რომელიც ქართული ისტორიული თხზულების პირველი პუბლიკაციაა ევროპაში [12, გვ. 20].

ქართველი საზოგადოება ყურადღებით აღევნებდა თვალყურს და სათანადოდ აფასებდა ფრანგი მეცნიერის მოღვაწეობას. XIX ს-ის პრესა – „ნისკარი“, „დროება“, „ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა დიდ ადგილს უთმობდა მისი მეცნიერული მოღვაწეობის გაშუქებას.

მარი ბროსეს უზარმაზარი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან საყურადღებოა ქართველი მოღვაწეების – თეიმურაზ ბაგრატიონის, ზაქარია ფალავანიძევილის, რაფიელ ერისთავის, ბესარიონ ლოღობერიძის, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის წერილები [13, გვ. 7].

ამჯერად ჩვენი ყურადღების სფეროში მოექცა საქართველოს ისტორიის დაუცხრომელი მკვლევარის – პლატონ იოსელიანისა და მარი ბროსეს მიმოწერა, რომელიც ნათლად ასახავს მათ მეცნიერულ ურთიერთობას.

პლატონ იოსელიანი იყო XIX საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თეოლოგი, ლიტერატორი. მან წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს სიძველეთა შესწავლასა და ქართული კულტურის განვითარებაში [1, გვ. 2]. იგი იყო რედაქტორი რუსული პერიოდული გამოცემის „Закавказский вестник“-ისა საქართველოში, რომელშიც იგი ათავსებდა თავის წერილებს ისტორიულ სიძველეთა შესახებ და ამით ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული წარსულის პოპულარიზაციას.

პლატონ იოსელიანის მეცნიერულმა საქმიანობამ იმთავითვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა. 1847 წ. ოქტომბერში იგი არჩეულ იქნა ოდესის ისტორიისა და სიძველეთა სამოგადოების ნამდვილ წევრად, 1849 წ. პეტერბურგის არქეოლოგიისა და ნუმისმატიკის სამოგადოების წევრ-კორესპონდენტად, 1863 წ. ათენის სამეფო არქეოლოგიური სამოგადოების წევრად. ამ სამეცნიერო სამოგადოებების წევრობა ქართველი მოღვაწისათვის მეტად საპატიო იყო და მას ბევრს ავალებდა.

პლატონ იოსელიანის სახელს უკავშირდება ძველი ქალაქების კვლევის საწყისი ეტაპი საქართველოში. ამაზე მეტყველებს მის მიერ 1844 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია: “Туземные города, существовавшие и существующие в Грузии”, ხოლო 1850 წ. ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომი: “Города существовавшие и существующие в Грузии”.

1838 წ. იწყება მარი ბროსესა და პლატონ იოსელიანს შორის მიმოწერა და დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ქართველი მეცნიერის 42 წერილი მარი ბროსესადმი, მათგან მხოლოდ ერთია ფრანგულ ენაზე შესრულებული. ეს წერილები გამოაქვეყნა პროფ. ს. ყუბანეიშვილმა [8]; ამჟამად ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მარი ბროსესა და პლატონ იოსელიანის ინტერესების თანხვედრა, გამოსაგული ქართული სიძველეების შესწავლით, გახდა განმსაზღვრელი მათ შორის მყარი მეცნიერული ურთიერთობის ჩამოყალიბებისა.

მარი ბროსეს სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩენას პლატონ იოსელიანი ახალი ეპოქის დასაწყისად მიიჩნევდა და ერთ-ერთ წერილში თავის დამოკიდებულებას მისი პიროვნების მიმართ ასე გამოხატავდა [8, გვ. 150]:

„განვლო დუმილმან საუკუნეთა და გონებათა განიღვიძეს დასაბამად ამ დიდისა ეპოქისა, ვიგყვი პირუთვნელად: გამოსჩნდით თქვენ. რასა იქმოდინ ქართველნი, ვისა განაკვირვებენ მწერლობასა თვისსა, და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის, შეაფარდებდნენ თვისთა წერილთა, უკეთუ არ გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა?“

მარი ბროსეს თხოვნით პლატონ იოსელიანმა დაიწყო ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება. ამ საქმემ ახალგაზრდა მეცნიერი ძალიან გაიგაცა. მან იცოდა, რაოდენ საჭირო და აუცილებელი იყო ხელნაწერთა მოძიება-შეგროვება ქვეყნის ისტორიის შესასწავლად. ამიტომაც არ იშურებდა არც ენერგიას, არც ფინანსურ საშუალებას, რაც გამოხატა კიდევ მარი ბროსესადმი იმავე წერილში: „დიდად ვარ მძიებელი ქართულთა წიგნთასა, არცა ვიშურვი ფულთა მოსყიდულად მათდა“.

პლატონ იოსელიანის მიერ შეგროვილ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ცხოვრება ქართველთა მეფის ძის პეტრესი“;

რომლის ასლიც ქართველმა მეცნიერმა გადაუგზავნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. ეს ხელნაწერი უძველესი იყო და პლატონ იოსელიანის ამრით, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული მეცნიერებისათვის. მარი ბროსეს ხელნაწერთა არქივში აგრეთვე აღმოჩნდა პლატონ იოსელიანისაგან მიღებული "ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია". ნაშრომის გაცნობის შემდეგ მარი ბროსე აღნიშნავდა [4, გვ. 11]: „მთელი ნაშრომი წარმოადგენს შემოკლებულ ვახტანგისეულ ისტორიას, მოცემულია გვიანდელი ხანის (1730 წლამდე) ახალი ღეგალები, რომლის მომსწრე ყოფილა ავტორი“.

ამ სიგვეებიდან ჩანს, რომ მარი ბროსესათვის საკმარისი არ იყო ნაშრომში მოცემული მოკლე ისტორიული მონაკვეთის მოვლენების განხილვა. იგი პლატონ იოსელიანისაგან ითხოვდა უფრო მაღალი მეცნიერული ღირებულების ნაშრომის შექმნას, რადგან, მისი ამრით, საქართველო, თავისი მდიდარი ისტორიული წარსულითა და სიძველეებით, ამას იმსახურებდა. სწორედ ამიტომ პლატონ იოსელიანი გაცნობია ბერძენ და რომაელთა ცნობებს საქართველოს შესახებ და დაუწერია შემდეგი ნაშრომები: „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“, „ქართველები და მათი ძველი სახელწოდებანი“, „ისტორიებრი და გეოგრაფიული აღწერა ძველისა საქართველოჲსა“ და სხვ.

ქართულ ხელნაწერთა გაგზავნით პლატონ იოსელიანმა დიდი ღვაწლი გაუწია მარი ბროსეს, რომელმაც დაწერა საქართველოს ისტორია რუსულ ენაზე: "Очерк критической историй Грузии". ეს ნაშრომი მისი ოცდაათწლიანი დაუღალავი შრომის შედეგი იყო.

მარი ბროსე ცდილობდა, ქართულ სიძველეთა კვლევას სისტემური ხასიათი მისცემოდა, რომელიც საქართველოში XIX საუკუნემდე არ დაწყებულა (თუ არ ჩავთვლით სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებს) [3, გვ. 13]. ამისათვის საჭირო იყო აზიური მუზეუმის ფონდში დიდი რაოდენობით შესულიყო ქართული სიძველეები, რადგან აზიური მუზეუმი ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად რჩებოდა [11, გვ. 193]. სწორედ ამ აზიურ მუზეუმს გადაეცა პლატონ იოსელიანისაგან სიგელ-გუჯრები, გადმოწერილი ეკლესია-მონასტრებიდან. ამ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის შინაგანი ცხოვრების შესასწავლად. მარი ბროსესადმი წერილში პლატონ იოსელიანი ერთ-ერთ სიგელზე წერდა: „თხოვისამებრ თქვენისა ვიპოვე ერთი ძველი სიგელი, რომელსაც აქუნდა სახე გიორგი მეფისა“ [8, გვ. 163]. ასეთი ტიპის სიგელები ზოგჯერ კერძო ოჯახებში მოუვლელით ილუპებოდა და მათი გადარჩენა მკვლევარის დიდ მონღომებასა და შრომას მოითხოვდა.

აზიურ მუზეუმში საქართველოდან გაგზავნილი მონეტებიც ინახებოდა. ამ კოლექციის გაგზავნა პლატონ იოსელიანის სახელთან არის დაკავში-

რებული. „ძველთა ფულებთათვის რაცა მოგიწერიათ, მე აღრევე მქონდა აზრში წარმომედგინა ისინი, მაგრამ ველოდი შეგროვებასა. აგერ მაქვს ათი მათგანი“ [8, გვ. 164]. ამიურ მუზეუმს გადაეცა აგრეთვე ლორეში აღმოჩენილი მონეტების განძი (67 მონეტა), ქართულ წარწერათა ტექსტები. ეს ეპიგრაფიკული მასალა, გადმოწერილი საფლავის ქვებიდან, ხატებიდან და სხვადასხვა ნივთებიდან, მარი ბროსემ პლატონ იოსელიანისაგან მიიღო. სწორედ ეპიგრაფიკული მასალით დაიწყო საქართველოდან მიღებული ისტორიული მასალის პუბლიკაცია მარი ბროსემ. მან პარიზში გამოაქვეყნა კიდევ ორი წარწერა (ნუმალისა და ჭულუხევის ტაძრისა) [12, გვ. 57]. შემდეგ ხანებში ამ მიმართულებით გაგრძელდა მუშაობა, რაშიც მას გვერდით პლატონ იოსელიანი ედგა.

პლატონ იოსელიანის ერთ-ერთი წერილიდან მარი ბროსესადმი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქართველ მკვლევარს წმინდანთა ხატების შეგროვებაც დაუწვია: „აგერ სამი ღლე არის, რაც მოვაგანინე იმერეთის ვანის მონასტრიდან წიგნად შეკრული ბერძენთა ეკლესიის წმინდანთა ხატი“ [8, გვ. 180], – წერს პლატონ იოსელიანი და მარი ბროსეს აცნობს ქართველ წმინდანთა სახელებს. ასევე, წერილიდან მარი ბროსესადმი, ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ პლატონ იოსელიანს არც ქართული ფრესკული გამოსახულებანი დარჩენია ყურადღების მიღმა. მას იტალიელი მხატვრის როცის დახმარებით 1839-1840 წწ. მცხეთის სვეტიცხოვლის უნიკალური მხატვრობა გადმოუღია და მარი ბროსესათვის პეტერბურგში გაუგზავნია [8, გვ. 161]. ეს იყო პლატონ იოსელიანის მცდელობა ქართული ფრესკების კოპირებისა.

საქართველოდან მიღებული უამრავი ისტორიული მასალის გაცნობით მარი ბროსეს ამ ქვეყანაში მოგზაურობის უდიდესი სურვილი გაუჩნდა. მას უნდოდა საკუთარი თვალთა ეხილა საქართველოს ისტორიული ძეგლები. ცნობილია, რომ მარი ბროსემ ორჯერ წარუდგინა მთავრობას ამ მოგზაურობის პროექტი და ორივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. იგი ისევ ჩვეული ინტერესით აგრძელებდა ქართულ სიძველეთა მოძიება-შეგროვებას, მაგრამ რუსეთის არცერთ ბიბლიოთეკას, საქართველოდან გაგზავნილ არანაირ ისტორიულ მასალას და რუსეთში მცხოვრებ ქართველთა უანგარო დახმარებას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მარი ბროსეს სურვილი ამ ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სრული შესწავლისა, რის შესაძლებლობაც მიეცა მას 1847 წელს.

ქართველი სამოგადოებრიობა ჩვეული სიღარბაისლით შეეგება სასურველ სკუმარს. ოფიციალური ვიზიტების შემდეგ მოეწყო რამდენიმე ექსკურსია. თბილისში შედგა პლატონ იოსელიანის უშუალო გაცნობა მარი ბროსესთან, რომელიც აქამდე მათ შორის მხოლოდ მიმოწერით შემოიფარგლებოდა. პლატონ იოსელიანმა უცხოელ სკუმარს ქართლში ექსკურსიამძღოლობა გაუწია.

17 სექტემბერს მარი ბროსე და პლატონ იოსელიანი მცხეთას ეწვივნენ. ეცყობა ამ რეგიონის ღათვალთა იერება პლატონ იოსელიანს შემთხვევით

არ მოუნდობია. მან იცოდა, რომ მცხეთაში ბევრი შეუსწავლელი ნანგრევი იყო [2, გვ. 18].

მცხეთის დათვალიერების შემდეგ სტუმარი ეწვია ძეგვს, ქვათახევის მონასტერს. იგი დიდი ინტერესით გაეცნო XVII საუკუნის სამარხის ქვებზე წარწერებს; შემდეგ კი, შემო ქართლის სოფლებიც მოინახულა [12, გვ. 76].

1847 წ. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მარი ბროსემ გამოაქვეყნა წერილი: „საქართველოს წარსულის ძეგლთა შესწავლის აუცილებლობა და საშუალებანი“ [14, გვ. 130]. ამ წერილში მარი ბროსე აღნიშნავდა იმ დიდი დახმარების შესახებ, რომელიც პლატონ იოსელიანმა გაუწია მას საქართველოში ყოფნის დროს. ის გამოთქვამდა იმედს, რომ საქართველოში შეიქმნება სიძველეების მოყვარულთა საზოგადოება და ბევრი მოღვაწე მიიღებს მასში მონაწილეობას. ამ წერილის გამოქვეყნებას, ცხადია, უშედეგოდ არ ჩაუვლია.

მართლაც, მარი ბროსეს ქართული სიძველეების შეგროვებაში დახმარება აღმოუჩინა ქართველ და რუს მოღვაწეთა ფართო წრემ. პლატონ იოსელიანიც იმ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტდა მარი ბროსესთან კავშირს. ეს ურთიერთობა, ცხადია, ცალმხრივი არ იყო. მარი ბროსე დიდ ყურადღებას იჩენდა პლატონ იოსელიანის პიროვნების მიმართ. მისი თხოვნითა და უშუალო შუამდგომლობით პლატონ იოსელიანს მიეცა ნებართვა სინოდის კანგორის არქივში მუშაობისა, სადაც მან 400-მდე ლოკუმენტი გაარჩია, შეისწავლა და ორ ტომად გამოსცა. მარი ბროსე ქართველ მეცნიერს უგზავნიდა რუსეთის აკადემიის გამოცემებს, წერდა რეცენზიებს მის შრომებზე. ამ შრომებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“, რომელშიც მოცემული ფაქტები და მეცნიერული მოსაზრებანი ანგარიშგასაწევია დღესაც [7, გვ. 5]. ეს ნაშრომი, პლატონ იოსელიანის თხოვნით, მარი ბროსეს წაუკითხავს, დაურთავს შენიშვნები და პეტერბურგის აკადემიისათვის გადაუცია. მარი ბროსეს პლატონ იოსელიანისადმი წერილში, რომელიც დაცულია საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიგერაგურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და გამოქვეყნებულია ს. ყუბანეიშვილის მიერ [8, გვ. 201], ვკითხულობთ: „მიხარია დიდად, რომ დაგიწერია ისტორია უკანასკნელი მეფისა გიორგისი. ჩვენ ჭეშმარიტებასა ვიცნობთ ძლივდა ნახევრამდინ და თქვენ, ქართველნი, თვალით თვისით მნახველი ყოვლისა შემთხვევისა, უნდა გამოაცხადოთ საქმე, როგორც იყო“.

ვეცნობით რა ამ ორი მეცნიერის ურთიერთობის ფაქტებს, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ მათი მოსაზრებები ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მაგალითად, მარი ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ მეექვსე დამატებაში იგი შეეხო ქართლში ასურელ მამათა შემოსვლის საკითხს. პლატონ იოსელიანის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო V საუკუნეში. მარი ბროსემ ეს მოვლენა გადაათარიდა და იგი VI საუკუნით

განსაზღვრა. მისი მოსაზრება აღმოჩნდა სწორი. ასურელ მამათა ქართლში შემოსვლა დღესაც VI საუკუნით თარიღდება. ამ ორი მეცნიერის აზრთა სხვადასხვაობა გამოიხატა პლატონ იოსელიანის მიერ გრამატიკის გადათარგმნის დროსაც. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ღრამატიკა რუსულისა თარგმანითურთ გავათავე, თუმცაღა რამდენსამე აზრში არა ვარ თქვენთან თანახმა, მაგრამ მაინც არა მგონია ვცდებოდე“ [8, გვ. 189].

მიუხედავად ზოგჯერ აზრთა სხვადასხვაობისა, მარი ბროსე და პლატონ იოსელიანი ერთმანეთის მიმართ უდიდეს პატივისცემასა და მოწიწებას ინარჩუნებდნენ და თავიანთ საქმიანობას ერთი საერთო მიზნისაკენ წარმართავდნენ, რაც ქართულ სიძველეთა ძიებასა და მის სამეცნიერო კვლევაში გამოიხატებოდა.

ამრიგად, პლატონ იოსელიანსა და მარი ბროსეს მიმოწერის შესწავლა დღემდე აქტუალურია და მეცნიერული ურთიერთობის ბევრი ახალი დეტალის გამომხეურების საშუალებას იძლევა. მათმა თანამშრომლობამ დაულო სათავე ევროპასა და რუსეთში ქართველოლოგიის ძლიერი ცენტრების შექმნას; „ბევრს გააცნო საქართველო, ბევრ გადაგვარებულ ქართველსაც შეაყვარა სამშობლო“ [10, გვ. 36], ხოლო საქართველოში სტიმული მისცა ქართველ კაცს საკუთარი ისტორიის ჯეროვანი შესწავლისა. ამას მოწმობს თვით მარი ბროსეს სიტყვები 1878 წ. პეტერბურში მყოფ ალ. ჭყონიასადმი წერილში: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ ქართველები ნელ-ნელა იღვიძებენ და თავისი უწინდელი ცხოვრების შესწავლას და თან ახლანდელის გაუმჯობესებას სცდილობენ“ [5, გვ. 20].

ქართველთა გამოღვიძებისა და მათ მიერ საკუთარი სიძველეების შესწავლის საქმეში მარი ბროსეს უდიდესი წვლილი მიუძღვის, რომელიც სათანადოდ შეაფასა პლატონ იოსელიანმა და ქართველი ხალხის დამოკიდებულება მის მიმართ ასე გამოხატა: „ბროსე ბაგეთა შინა ღიღისა და გულთა შინა ახალმოსწავლეთასა ხმაურობს“ [8, გვ. 160]. მარი ბროსე კი მოკრძალებით აცხადებდა ზაქარია ჭიჭინაძისადმი წერილში [2]: „ქართველები ჩემს ღირსებას მეტად აფასებენ, ჩემგან ნაშრომებს მათის მწერლობისათვის, რომელთაგან სიამოვნების გარდა მიმიღია დიდი ბედნიერება“.

მართლაც, ქართველმა საზოგადოებამ იმთავითვე შეიყვარა და აღიარა თავისი ქვეყნის უანგარო მკვლევარი, სათანადო ყურადღება დაუთმო მისი მეცნიერული მოღვაწეობის გაშუქებას.

მარი ბროსესა და პლატონ იოსელიანის – ამ ორი თვალსაჩინო მოღვაწის მეცნიერულმა ურთიერთობამ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ისტორიის მკვლევართ და ხელი შეუწყო ქვეყნის სიძველეთა პოპულარიზაციას.

ლიტერატურა:

1. ბეგიაშვილი თ. პლატონ იოსელიანი (დაბადების 150 წლ.) – „ლიტერატურული გაზეთი“, თბ., 1961.
2. ბროსე მ. [წერილი მ. ჭიჭინაძისადმი] – „ივერია“, 1902, № 27.
3. გამყრელიძე გ. საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია – საქართველოს არქეოლოგია, ტ. 1, თბ., 1991.
4. დოდაშვილი რ. მარი ბროსე – ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962.
5. დუმბაძე მ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.
6. მაჭავარიანი ე. პლატონ იოსელიანი – გაზეთი „სამშობლო“, თბ., 1973.
7. ქაჯაია ვ. პლატონ იოსელიანი. – სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებ. I, თბ., 1953.
8. ყუბანეიშვილი ს. პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, I, 1941.
9. შარაძე გ. პლატონ იოსელიანი რუსთველოლოგი, თბ., 1983.
10. ჭიჭინაძე მ. პლატონ იოსელიანი, თბ., 1893.
11. ხანთაძე შ. ორი იუბილე (თ. ბაგრატიონისა და მ. ბროსეს შემოქმედებითი ურთიერთობების შესახებ), – მაცნე, № 4, 1982.
12. ხანთაძე შ. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1966.
13. ხოშბარია-ბროსე ე. აკად. მარი ბროსეს საარქივო მემკვიდრეობა, – გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2002.
14. Броссе М. О необходимости и способах изучать памятники старины Грузии, – „Кавказский календарь на 1848 г., Тифлиси, 1847.

Tinatín Zarnadze

On Scholarly Relationship of Marie Brosset and Platon Ioseliani Summary

Rich cultural and historical heritage of the Georgian people, Georgian antiquities attracted attention of numerous foreign scholars. Of these Marie Brosset, the founder of the Kartvelian Studies in Europe, occupies a special place.

The Georgian public took great interest in the activities of the French scholar. Of his epistolary heritage, letters of Georgian figures – Teimuraz Bagrationi, Zakaria Palavandishvili, Rapiel Eristavi, Dimitri Meghvinetukhutsesishvili, are noteworthy. The correspondence between M. Brosset and Platon Ioseliani forms the object of our present interest.

Platon Ioseliani was a well-known public figure of the 19th century, a student of the history of Georgia. The coincidence of interests of M. Brosset and P. Ioseliani

– study of Georgian antiquities – determined the establishment of close scholarly relationship between them.

The study of the correspondence between the Georgian and the French scholars retains urgency to the present day, and it provides an opportunity to reveal many new details of their scholarly contacts.

The correspondence between M. Brosset and P. Ioseliani started in 1838, and nowadays we have 42 letters of the Georgian scholar addressed to M. Brosset, of which only one is written in French.

On Brosset's request, P. Ioseliani began to collect Georgian manuscripts, rendering thereby great assistance to the French Kartvelologist. Along with manuscripts P. Ioseliani sent M. Brosset charters copied from churches and monasteries. Antiquities from Georgia were accumulated in collections of the Asian Museum. Of these antiquities the Museum treasured old Georgian coins, namely, a hoard of coins discovered in Lore (67 pieces), texts of Georgian manuscripts, epigraphic material copied from tombstones, icons and various other objects, received by M. Brosset from P. Ioseliani. The Georgian scholar also collected icons of Georgian saints, including icons from the monastery of Vani, in Imereti. Along with this, with the help of Italian painter Rozzi, he copied the unique painting of the Cathedral of Svetitskhoveli at Mtskheta and sent it to M. Brosset to Petersburg.

P. Ioseliani was the guide of M. Brosset during the visit of the latter to Georgia, in particular, Mtskheta.

After his arrival in Georgia in 1847, M. Brosset published a paper "The Need and Means for the Study of Remains of Georgia's Past". In it the author noted the great assistance rendered to him by P. Ioseliani during his stay in Georgia. He expressed his hope that a Society of Lovers of Antiquities would be founded in Georgia.

In fact, M. Brosset was assisted greatly in collecting Georgian antiquities by numerous Georgian and Russian figures. P. Ioseliani belongs to those scholars who maintained contact with M. Brosset till the end of his life. This relationship was not one-sided, of course. M. Brosset showed great interest in the Georgian scholar. On his request and by direct mediation, P. Ioseliani was allowed to work in the archives of the Synod office. M. Brosset sent the Georgian scholar editions of the Russian Academy, wrote reviews on his papers.

In spite of the difference of opinion in some cases, the relationship of M. Brosset and P. Ioseliani was distinguished for great mutual respect and reverence. Their joint efforts were directed towards one common goal – search and scholarly study of Georgian antiquities.